საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში
“დინამო” (თბილისი) - “კრილია სოვეტოვი” (მოსკოვი)

დიდი იყო მაყურებელთა ინტერესი პირველი კალენდარული მატჩისადმი. დინამოს სტადიონი თამაშის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე აივსო ხალხით. თამაშის დაწყების წინ შესდგა ფეხბურთელთა პარადი. ფეხბურთელებს მიმდინარე წლის სეზონის გახსნა მიულოცა და ახალი წარმატება უსურვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ.

6 საათსა და 10 წუთზე დაიწყო მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში მოსკოვის “კრილია სოვეტოვისა” და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდებს შორის. პირველი წუთებიდანვე თამაშმა მწვავე ხასიათი მიიღო.

“დინამოს” თავდამსხმელებმა - ბორის პაიჭაძემ, გაიოზ და სპარტაკ ჯეჯელავამ, ღოღობეღიძემ ადრევე ჩააბეს თამაშში “კრილია სოვეტოვის” მეკარე სარხაროვი. სტუმრების დაცვამ ენერგიული წინააღმდეგობა გასწია, მაგრამ თბილისელებმა მეათე წუთზე მაინც შესძლეს ანგარიშის გახსნა. თამაში უფრო და უფრო მძაფრდება, მოსკოველებმა ენერგიული იერიში განავითარეს, მაგრამ ამჯერად თბილისელთა დაცვა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ბურთის ზუსტი გადაწოდებით, სწრაფი და მოფიქრებული თამაშით თავი გამოიჩინეს გაგუამ, პანიუკოვმა, ძიაფშპამ და ნაუმცევმა.

თბილისელებს ინიციატივა არ გაუშვიათ ხელიდან. პანიუკოვისგან მოწოდებული ბურთი გაიოზ ჯეჯელავამ სწრაფად წაიღო მოსკოველთა კარისაკენ. “კრილია სოვეტოვის” თითქმის ყველა მოთამაშე საკუთარ საჯარიმო მოედანზე მოგროვდა, ასეთ მდგომარეობაში ძნელია “თავისუფალი ადგილის” მოძებნა, მაგრამ გაიოზ ჯეჯელავამ ოსტატური სიზუსტით მიაწოდა ბურთი ბორის პაიჭაძეს. ამ უკანასკნელის მიერ დარტყმული ბურთი ისე მძლავრი აღმოჩნდა, რომ თუმცა მეკარე არხაროვმა იგი სხარტი ნახტომით აიღო, მაგრამ ხელიდან გაუსხლტა. მოსკოველთა მეკარემ მეორედ გამოიტანა ბადიდან ბურთი.

ამის შემდეგაც არ შეუნელებიათ დინამოელებს თამაშის ტემპი და ბურთი განუწყვეტლივ ტრიალებდა მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ანგარიშის გადიდება თბილისელებმა მაინც ვერ შესძლეს.

პირველი ტაიმის ბოლო წუთებში მოსკოველებმა ლამაზი კომბინაციები გაითამაშეს. განსაკუთრებით აქტივობდა მათი თავდასხმის ცენტრი, ამის შედეგად “კრილია სოვეტოვმა” შესძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

ცხოველი და საინტერესო იყო თამაშის მეორე ნახევარიც. ორივე მხარეს შესაძლებლობა ჰქონდა ანგარიშის შეცვლისა, განსაკუთრებით თბილისელებს, მაგრამ ეს შესაძლებლობანი გამოუყენებელი დარჩა და პირველი კალენდარული მატჩი თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “კრილია სოვეტოვის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებისა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით.

მთელი თამაში უნაკლოდ ჩაატარა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ამხ. არაქელოვმა.

“კომუნისტი”, 4 მაისი, 1947 წ.